



საქართველოს
კულტურისა
და სპორტის
სამინისტრო

საქართველოს მასობრივი სპორტის
ხელმისაწვდომობისა და
განვითარების სტრატეგიის
შემუშავების გზამკვლევი

Roadmap for the Grassroots Sport
Accessibility and Development Strategy
Process

მისამართი:

საქართველო, თბილისი

0105, სანაპიროს ქ. N4

Tel: +995 322 930104

Web: cultureandsports.gov.ge

FB: [Facebook.com/კულტურა და სპორტი](https://www.facebook.com/კულტურა_და_სპორტი)

მდგრადი განვითარებისთვის

E-mail: sportpolicy.geo@gmail.com

საქართველოს მასობრივი სპორტის ხელმისაწვდომობისა და განვითარების სტრატეგიის შემუშავების გზამკვლევი	3
Roadmap for the Grassroots Sport Accessibility and Development Strategy Process	16

საქართველოს მასობრივი სპორტის ხელმისაწვდომობისა და განვითარების სტრატეგიის შემუშავების გზამკვლევი

საქართველოს მასობრივი სპორტის ხელმისაწვდომობისა და განვითარების სტრატეგიის გზამკვლევი არის ქვეყნის მასშტაბით სტრატეგიის შემუშავების პროცესის განმსაზღვრელი სამუშაო დოკუმენტი, რომელსაც წარმართავს საქართველოს კულტურისა და სპორტის სამინისტრო. მასობრივი სპორტის ხელმისაწვდომობისა და განვითარების სტრატეგიის შემუშავების პროცესში ჩართულნი არიან ცენტრალური და ადგილობრივი ხელისუფლების საკანონმდებლო და აღმასრულებელი ორგანოები, სპორტის სფეროს წარმომადგენლები, სპორტული ორგანიზაციები, სამოქალაქო, კერძო სექტორი, ეროვნული და საერთაშორისო ექსპერტები, საგანმანათლებლო დაწესებულებები და სხვა დაინტერესებული მხარეები.

1. დოკუმენტის ტიპი

მასობრივი სპორტის ხელმისაწვდომობისა და განვითარების სტრატეგიაზე მუშაობის პროცესში შემუშავდება ორი დოკუმენტი:

1. საქართველოს მასობრივი სპორტის ხელმისაწვდომობისა და განვითარების სტრატეგია (2019-2024 წ)
2. საქართველოს მასობრივი სპორტის ხელმისაწვდომობისა და განვითარების სტრატეგიის განხორციელების სამოქმედო გეგმა (2019-2020წ)

სტრატეგიის შემუშავების პროცესს ხელმძღვანელობს საქართველოს კულტურისა და სპორტის სამინისტრო. უწყებათაშორისი თანამშრომლობა კი ხორციელდება „საქართველოში სპორტის სახელმწიფო პოლიტიკის ხელშემწყობი უწყებათაშორისი საკოორდინაციო საბჭოს“¹ ფარგლებში. მასში მონაწილეობას მიიღებს ყველა

¹ საბჭო შექმნილია საქართველოს მთავრობის 2013 წლის 22 მაისის N127 დადგენილების საფუძველზე.

დაინტერესებული მხარე, რაც უზრუნველყოფს გამჭვირვალე და ინკლუზიურ სამუშაო პროცესს.

- სამუშაო პროცესის შედეგად მიღებულ ორივე დოკუმენტს ამტკიცებს საქართველოს მთავრობა.
- რეგიონული და ადგილობრივი ხელისუფლების ორგანოებს გადამწყვეტი და საპასუხისმგებლო როლი ეკისრებათ საქართველოში სპორტის სფეროს განვითარებისთვის. შესაბამისად, მნიშვნელოვანია, რომ სტრატეგიის შემუშავების პროცესში თავიდანვე აქტიურად მონაწილეობდნენ რეგიონის წარმომადგენლები. აქედან გამომდინარე, მნიშვნელოვანია, საქართველოს მასობრივი სპორტის ხელმისაწვდომობისა და განვითარების სტრატეგია და სამოქმედო გეგმით გათვალისწინებული მიზნებისა და ამოცანების ხელშეწყობაში მონაწილეობა ეთხოვოთ ადგილობრივ თვითმმართველობებს.
- დოკუმენტის აქტუალობის შენარჩუნების მიზნით, ყველა დაინტერესებული მხარის ჩართულობით, მოხდება მისი რეგულარული მონიტორინგი და განახლება. წელიწადში ერთხელ გადაიხედება სამოქმედო გეგმით გათვალისწინებული ღონისძიებები, ხოლო გრძელვადიანი სტრატეგიით გათვალისწინებული მიზნებისა და ამოცანების გადახედვა მოხდება ყოველ 2-3 წელიწადში.
- სტრატეგიის დოკუმენტი ეყრდნობა საერთაშორისო სამართლებრივ აქტებს, საქართველოს კონსტიტუციას და ადგილობრივ კანონმდებლობას. ასევე ითვალისწინებს სპორტის სახელმწიფო პოლიტიკის დოკუმენტით გათვალისწინებულ სტრატეგიულ მიზანს - მასობრივი სპორტის განვითარების ხელშეწყობას და სხვა სახელმწიფო სტრატეგიულ დოკუმენტებსა და ეროვნულ სამოქმედო გეგმებს.

2. პროცესი და ვადები

ცხრილში მითითებული ღონისძიებები და ვადები შესაძლოა განახლდეს და შეიცვალოს სტრატეგიის შემუშავების პროცესში.

ღონისძიება	თარიღი	კომენტარი
საქართველოს კულტურისა და სპორტის სამინისტროსა და საქართველოს პარლამენტის სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომიტეტის ერთობლივი პრესკონფერენცია	2018 წლის მაისი	საზოგადოების ინფორმირება მასობრივი სპორტის ხელმისაწვდომობისა და განვითარების დოკუმენტზე მუშაობის დაწყებასა და სხვადასხვა დაინტერესებული მხარის ჩართულობის შესახებ.
„საქართველოში სპორტის სახელმწიფო პოლიტიკის ხელშემწყობი უწყებათაშორისი საკოორდინაციო საბჭოს“ ფარგლებში ექსპერტთა თემატური ჯგუფის ჩამოყალიბება	2018 წლის მაისი	ექსპერტთა თემატური ჯგუფის ექსპერტები მონაწილეობას მიიღებენ უწყებათაშორის შეხვედრებში, წარმოადგენენ შენიშვნებსა და რეკომენდაციებს სტრატეგიის დოკუმენტთან დაკავშირებით და მონაწილეობას მიიღებენ დოკუმენტის საბოლოო ვერსიის ჩამოყალიბებაში.
შეხვედრები მიზნობრივ ჯგუფებთან	2018 წლის მაისი-ივნისი	სპორტულ ორგანიზაციებთან, სამოქალაქო სექტორთან, ახალგაზრდულ ორგანიზაციებთან და სხვა მიზნობრივ ჯგუფებთან შეხვედრებზე განიხილება: 1. მასობრივი სპორტის

		<p>ხელმისაწვდომობისა და განვითარების ხედვა</p> <p>3. სპორტისა და ფიზიკური აღზრდის სფეროს ძირითადი პრობლემები და მიზეზები</p> <p>4. პრობლემების გადაჭრის გზები.</p>
<p>შეხვედრა „საქართველოში სპორტის სახელმწიფო პოლიტიკის ხელშემწყობი უწყებათაშორისი საკოორდინაციო საბჭოს“ ფარგლებში თემატური ჯგუფის ექსპერტებთან</p>	<p>2018 წლის ივლისი</p>	<p>სხვადასხვა მიზნობრივი ჯგუფების მიერ იდენტიფიცირებული და გაანალიზებული პრობლემები განიხილება თემატური ჯგუფის ექსპერტების მიერ და შემოთავაზებული იქნება შენიშვნები და რეკომენდაციები სტრატეგიის დოკუმენტში გასათვალისწინებლად.</p>
<p>რეგიონული სამუშაო შეხვედრები</p>	<p>2018 წლის მაისი-ივლისი</p>	<p>რეგიონულ სამუშაო შეხვედრებში მონაწილეობას მიიღებენ საქართველოს კულტურისა და სპორტის სამინისტროს, საქართველოს პარლამენტის სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომიტეტის, ადგილობრივი ხელისუფლებისა და სპორტის სფეროს ადგილობრივი წარმომადგენლები. სამუშაო შეხვედრებში ჩართული იქნებიან სამოქალაქო სექტორის წარმომადგენლებიც. შეხვედრებზე განხილული იქნება:</p>

	<p>2018 წლის მაისი</p>	<ol style="list-style-type: none"> 1. მასობრივი სპორტის ხელმისაწვდომობისა და განვითარების ხედვა 2. სპორტისა და ფიზიკური აღზრდის სფეროს ძირითად პრობლემები და მიზეზები 3. პრობლემების გადაჭრის გზები. <p>დაგეგმილია გასვლითი სამუშაო შეხვედრა „ფიზიკური აღზრდისა და სპორტის შესახებ“ საქართველოს კანონისა და მასობრივი სპორტის განვითარებისა და ხელმისაწვდომობის სტრატეგიის პროექტების განხილვის მიზნით (საქართველოს პარლამენტის სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომიტეტი, კულტურისა და სპორტის სამინისტრო, განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო).</p>
<p>მასობრივი სპორტის ხელმისაწვდომობისა და განვითარების სტრატეგიის დოკუმენტის პროექტის შემუშავება</p>	<p>2018 წელი ივლისი-აგვისტო</p>	<p>მიზნობრივ და თემატურ ჯგუფებთან, რეგიონულ დონეზე შეხვედრებზე გაზიარებული პრობლემები, მოსაზრებები და რეკომენდაციები აისახება მასობრივი სპორტის ხელმისაწვდომობისა და განვითარების სტრატეგიის დოკუმენტის პროექტში.</p>

<p>საერთაშორისო გამოცდილების გაზიარება</p> <p>ევროკავშირის ტექნიკური დახმარების ინსტრუმენტის „TAIEX“ გამოყენება (სასწავლო ვიზიტი და სამუშაო შეხვედრა)</p>	<p>2018 წლის სექტემბერი</p>	<p>ევროკავშირის ტექნიკური დახმარებისა და ინფორმაციის გაცვლის ინსტრუმენტის „TAIEX“ გამოყენებით საქართველოს კულტურისა და სპორტის სამინისტროს წარმომადგენლები მონაწილეობას მიიღებენ ორდღიან სამუშაო შეხვედრაში, რომელიც საერთაშორისო ექსპერტების ჩართულობით თბილისში გაიმართება და ასევე ავსტრიაში დაგეგმილ სამდღიან სასწავლო ვიზიტში, რომელიც ორიენტირებულია მასობრივი სპორტის განვითარების მიმართულებით</p> <p>საერთაშორისო გამოცდილების გაზიარებისკენ.</p>
<p>მასობრივი სპორტის ხელმისაწვდომობისა და განვითარების სტრატეგიის დოკუმენტის დასრულებული ვერსიის შემუშავება</p>	<p>2018 წლის სექტემბერი</p>	<p>სამუშაო შეხვედრების შედეგებზე, შეგროვებულ დოკუმენტაციასა და საერთაშორისო გამოცდილებაზე დაყრდნობით შემუშავდება მასობრივი სპორტის ხელმისაწვდომობისა და განვითარების სტრატეგიის დოკუმენტის პროექტის საბოლოო ვერსია .</p>
<p>უწყებათაშორისი ექსპერტთა ჯგუფის მიერ მასობრივი სპორტის ხელმისაწვდომობისა და განვითარების სტრატეგიის განხორციელების სამოქმედო გეგმის შემუშავება</p>	<p>2018 წლის სექტემბერი-ოქტომბერი</p>	<p>მასობრივი სპორტის ხელმისაწვდომობისა და განვითარების სტრატეგიის სამოქმედო გეგმა სტრატეგიის შესაბამისად აღწერს სხვადასხვა სახელმწიფო უწყებების მიერ გასატარებელ კონკრეტულ</p>

		ლონისძიებებს. სამოქმედო გეგმის შემუშავებასა და განხორციელებას კოორდინაციას უწევს საქართველოს კულტურისა და სპორტის სამინისტრო.
საჯარო კონსულტაციები	2018 წლის ოქტომბერი	საქართველოს კულტურისა და სპორტის სამინისტროს, პარლამენტის ვებ-გვერდებზე და სხვადასხვა ონლაინ სივრცეებში გამოქვეყნდება მასობრივი სპორტის ხელმისაწვდომობისა და განვითარების სტრატეგიისა და მისი განხორციელების მოკლევადიანი სამოქმედო გეგმის დოკუმენტების პროექტი, რაზეც ყველა დაინტერესებულ პირს, სტრატეგიის შემუშავებაში ჩართულ დაინტერესებულ მხარეს, შეეძლება აზრის დაფიქსირება. საჭიროების შემთხვევაში მოენწყობა დამატებითი თემატური შეხვედრები.
კონსულტაციები საქართველოს კულტურისა და სპორტის სამინისტროსა და სხვა სამთავრობო უწყებებს შორის	2018 წლის ოქტომბერი-ნოემბერი	სტრატეგიის დოკუმენტისა და სამოქმედო გეგმის საბოლოო ვერსიის შემუშავების შემდეგ საქართველოს კულტურისა და სპორტის სამინისტრო გამართავს შეხვედრებს სხვადასხვა სამთავრობო უწყებებთან.

<p>მასობრივი სპორტის ხელმისაწვდომობისა და განვითარების სტრატეგიისა და სამოქმედო გეგმის დამტკიცება</p>	<p>2018 წელი ნოემბერი-დეკემბერი</p>	<p>საქართველოს მთავრობას წარედგინება მასობრივი სპორტის ხელმისაწვდომობისა და განვითარების სტრატეგიისა და სამოქმედო გეგმის დოკუმენტები დამტკიცების მიზნით.</p>
---	---	--

პროცესის გამჭვირვალობისა და სპორტის სფეროში მოღვაწე პროფესიონალების მონაწილეობის უზრუნველსაყოფად შემუშავდება შესაბამისი საკომუნიკაციო სტრატეგია: ვებ-გვერდზე www.cultureandsports.gov.ge და სოციალურ ქსელში რეგულარულად განთავსდება განახლებული ინფორმაცია მიმდინარე პროცესის, სამუშაო დოკუმენტებისა და ძირითადი პარტნიორების შესახებ. აღნიშნული სერვისების მეშვეობით, ყველა დაინტერესებულ პირს საშუალება ექნება, მსოფლიოს ნებისმიერი წერტილიდან გამოაგზავნოს შენიშვნები, რეკომენდაციები და მოსაზრებები.

3. ფუნქციათა გადანაწილება

საქართველოს კულტურისა და სპორტის სამინისტროს:

ა) სტრატეგიული დაგეგმვისა და მონიტორინგის სამსახური

- ხელმძღვანელობს მასობრივი სპორტის ხელმისაწვდომობისა და განვითარების სტრატეგიის შემუშავების პროცესს;
- კოორდინაციას უწევს და წარმართავს სამუშაო ჯგუფების საქმიანობას;
- უზრუნველყოფს დაინტერესებულ მხარეებთან კომუნიკაციას და მათ ჩართულობას სტრატეგიის შემუშავების პროცესში
- ამზადებს ანგარიშებს, პროცესის მიმდინარეობასა და შედეგების შესახებ;
- უზრუნველყოფს პროცესის საჭაროობასა და გამჭვირვალობას.

ბ) საქართველოს კულტურისა და სპორტის სამინისტროს სპორტის დეპარტამენტი

- მასობრივი სპორტის ხელმისაწვდომობისა და განვითარების სტრატეგიის შემუშავების პროცესში შეიმუშავებს მეთოდოლოგიურ დოკუმენტებს;
- აგროვებს და აანალიზებს მონაცემებისა და სხვადასხვა სექტორებიდან, თემატური ჯგუფებიდან მიღებული ინფორმაციას;
- შეიმუშავებს მასობრივი სპორტის ხელმისაწვდომობისა და განვითარების სტრატეგიისა და სამოქმედო გეგმის დოკუმენტებს.

გ) საქართველოს კულტურისა და სპორტის სამინისტროს აპარატი

- ხელს უწყობს სტრატეგიის შესახებ საზოგადოებასთან ურთიერთობის კამპანიის წარმართვას, პროცესის გამჭვირვალობასა და საჯაროობას;
- უზრუნველყოფს პროტოკოლით გათვალისწინებული პროცედურების განხორციელებას.

საქართველოს პარლამენტის სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომიტეტი

- მონაწილეობს დოკუმენტის შემუშავებაში;
- მონაწილეობს და უზრუნველყოფს სტრატეგიის შემუშავების პროცესის მხარდაჭერას;
- კოორდინაციას უწევს რეგიონულ დონეზე სამუშაო შეხვედრების ჩატარებას;
- ხელს უწყობს პროცესის საჯაროობასა და გამჭვირვალობას;

უწყებათაშორისი საკოორდინაციო საბჭო

- მონაწილეობს მასობრივი სპორტის ხელმისაწვდომობისა და განვითარების სტრატეგიის შემუშავების პროცესში;
- აკვირდება დოკუმენტებზე მუშაობის პროცესს და ისმენს შესაბამის ანგარიშებს;
- გადანყვეტილებას იღებს დოკუმენტის მთავრობისთვის წარდგენასთან დაკავშირების.

უწყებათაშორისი საბჭოს ფარგლებში შექმნილი თემატური სამუშაო ჯგუფები

- თემატურად, კომპეტენციის ფარგლებში მუშაობენ დოკუმენტის შემუშავებასა და დახვეწაზე;
- სტრატეგიის შესამუშავებლად აგროვეებს პოლიტიკის/სტრატეგიის კვლევებს და სხვა საჭირო მონაცემებს (ანალიზი, სტატისტიკა და სხვა) და გაუზიარებს კულტურისა და სპორტის სამინისტროს;
- დახმარებას უწევს სამინისტროს სპორტის კვლევისა და ანალიზის სამმართველოს მოძიებული ინფორმაციის მეთოდოლოგიურ დამუშავებაში;
- შეიმუშავებს რეკომენდაციებს სტრატეგიასთან დაკავშირებით და გაუზიარებს საქართველოს კულტურისა და სპორტის სამინისტროს;
- მონაწილეობს საჯარო დისკუსიებში.

საერთაშორისო თანამშრომლობის საფუძველი

მასობრივი სპორტი

მასობრივი სპორტის მხარდაჭერას უზრუნველყოფს ევროკავშირის ერთ-ერთი მძლავრი ინსტიტუცია - ევროკომისია, რომელიც მნიშვნელოვან ყურადღებას უთმობს მასობრივი სპორტის განვითარებასა და მოსახლეობის ფიზიკურ აქტიულობაში ჩართვას, რის საფუძვლადაც მასობრივ სპორტში მაღალი ჩართულობის სარგებელს გამოჰყოფს, მათ შორისაა:

- ჯანმრთელობა
- სოციალური ჩართულობა
- დანაშაულის პრევენცია
- არაფორმალური განათლება და კომპეტენციების განვითარება
- მოხალისეობის განვითარება
- ეკონომიკური გავლენა

ამასთან, ევროკავშირი სპორტს ევროპული ინტეგრაციის საშუალებად მოიაზრებს და მისი მნიშვნელობა დეკლარირებულია, ისეთ დოკუმენტებში როგორებიცაა: ნიცისა და ლისაბონის დეკლარაციები, ამსტერდამის ხელშეკრულება და ევროკავშირის ფუნქციონირების კონსოლიდირებულ შეთანხმება.

საერთაშორისო კონსულტაციები

- მასობრივი სპორტის ხელმისაწვდომობისა და განვითარების სტრატეგიის დოკუმენტზე საერთაშორისო რეკომენდაციების მიღების მიზნით, დოკუმენტი ითარგმნება ინგლისურ ენაზე და გადაეგზავნება ევროპის საბჭოს;
- ევროკავშირის ტექნიკური დახმარების ინსტრუმენტის Taix-ის დახმარებით ევროკავშირის წევრი სახელმწიფოების გამოცდილების გაზიარება.

4. სტრატეგიის დოკუმენტის სტრუქტურა

4.1 დოკუმენტის მიზნები

- მასობრივი სპორტის მნიშვნელობის შესახებ ცნობიერების ამაღლება და მისი ხელმისაწვდომობის გაზრდა;
- რეგულარულ მასობრივ და სპორტულ აქტივობებში ჩართული მოსახლეობის რაოდენობის ზრდა;
- მასობრივი სპორტისა და ფიზიკური აქტივობების პოპულარიზაცია;
- ჯანსაღი ცხოვრების წესის პოპულარიზაცია და დანერგვა;
- არაფორმალური სასპორტო განათლების განვითარება;
- მასობრივი სპორტული ინფრასტრუქტურის განვითარება;
- ერთიანი მასობრივი სპორტის პოლიტიკის გატარება ცენტრალურ და ადგილობრივ დონეზე;

4.2 ძირითადი სტრუქტურა

მასობრივი სპორტის ხელმისაწვდომობისა და განვითარების სტრატეგიის დოკუმენტის ძირითადი სტრუქტურა, მოიცავს შემდეგ პუნქტებს:

- სპორტის სახელმწიფო პოლიტიკის ჩარჩო
- არსებული გამოწვევები
- სტრატეგიის ძირითადი მიზნები და ამოცანები
- მონაწილე მხარეები
- სკოლამდელი სპორტი
- სასკოლო სპორტი

- საუნივერსიტეტო სპორტი
- სპორტი ყველასათვის

დოკუმენტის სტრატეგიული ნაწილი

- მასობრივი სპორტის ხელმისაწვდომობისა და განვითარების გრძელვადიანი ხედვა საქართველოში;
- სიტუაციური ანალიზი: ძირითადი პრობლემები (მიზეზები, შედეგები), ძლიერი და სუსტი მხარეები (განვითარების ხელშემწყობი გარემოებები);
- მიზნები და ამოცანები.

დოკუმენტის სამოქმედო გეგმა

- მოკლე და საშუალოვადიანი პრიორიტეტები;
- ძირითადი ღონისძიებები, პასუხისმგებელი დაწესებულებები, განხორციელების ვადები და ბიუჯეტი.

4.3 ძირითადი სფეროები

- ინფრასტრუქტურა
- დაფინანსება
- ცნობიერების ამაღლება

საქართველოს მასობრივი სპორტის ხელმისაწვდომობისა და განვითარების სტრატეგია, ძირითადი საკითხების გარდა, მოიცავს ისეთ თემებს, როგორებიცაა:

- გენდერული თანასწორობა
- ჩართულობა:
 1. ბავშვების და ახალგაზრდების;
 2. ხანდაზმულთა;
 3. შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირების;
 4. დიასპორის, იძულებით გადაადგილებულ პირთა, ოკუპირებულ ტერიტორიებზე და გამყოფ ხაზთან მცხოვრებ პირთა;

5. მაღალმთიან რეგიონებში მცხოვრები პირების;
6. ეროვნული უმცირესობების.

Roadmap for the Grassroots Sport Accessibility and Development Strategy Process

This Roadmap is a working paper for implementation of a countrywide process for the elaboration of a Grassroots Sport Accessibility and Development Strategy Process under the guidance of the Ministry of Culture and Sport of Georgia. The central and local government legislative and executive bodies, sport representatives, sport organizations, civil and business sectors, national and international experts, educational institutes and other stakeholders are involved in working process of the Grassroots Sport Accessibility and Development Strategy.

1. Type of document

Two documents will be prepared within the frame of the process:

- a. The Grassroots Sport Accessibility and Development Strategy (2019-2024yr.)
- b. (2019-2020yr.) Biannual Action Plan for implementation of the Grassroots Sport Accessibility and Development Strategy.

Strategy development process is led by the Ministry of Culture and Sport of Georgia. Inter-agency cooperation is carried out within the framework of “Interagency cooperation council for Sport Policy in Georgia”. All stakeholders will be involved in document preparation process, ensuring transparency and inclusiveness of the process.

- Both documents will be adopted by the Government of Georgia.
- Regional and local authorities play crucial role for the development of sport sector. So it's important to involve regional representatives into the strategy formulation process from the very beginning. Therefore it's important the involvement of local authorities in promoting the goals and objectives provided by the Sport for All Strategy and it's action plan.
- To avoid creating a document that will soon be out-dated, the document will go regular monitoring and updating process again involving the relevant stakeholders. Once a year activities of the action plan will be reviewed and objectives and goals of the long-term strategy will be reviewed in every 2-3 years.

- The strategy document is based on international legal acts, Georgian constitution and local legislation. It also foresees the strategic goal of sport’s policy document- promoting of Sport for All and other state strategic documents and national action plans.

2. Process and indicative timeframe

Activity	Date	Comments
Joint press-conference of the Ministry of Culture and Sport of Georgia and Sports and Youth Affairs Committee of the Parliament of Georgia	May 2018	Kick-off meeting informing society about launching the process of Grassroots Sport Accessibility and Development Strategy elaboration process and involving relevant stakeholders in the process
Creating thematic expert groups in the framework of “Interagency cooperation council for Sport policy in Georgia”	May 2018	Thematic team experts will participate in inter-agency meetings, they will present remarks and recommendations on the strategy document and participate in drafting the final version of the document
Meetings with target groups	May – June 2018	The following issues will be discussed during the meetings with sports organizations, civil sector, youth organizations and other target groups:

		<ol style="list-style-type: none"> 1. The vision for Development of Grassroots Sport Accessibility and Development Strategy 2. Identifying the list of core problems and challenges in the fields of sport for all and physical education. 3. Key solutions for core-problems.
Meeting with experts of the thematic group within the framework of "Interagency Coordination Council for Supporting Sports State Policy in Georgia"	July 2018	Problems identified and analyzed by the different target groups will be considered by the thematic group experts and will be offered suggestions and recommendations to be considered in the strategy document
Regional workshops	May-July 2018	<p>Representatives of the Ministry of Culture and Sport of Georgia, the committee of Sport and Youth Affairs of the Parliament of Georgia, local authorities and local representatives of sports sector will attend regional workshops. Representatives of civil sector will also be involved in working meetings.</p> <p>At the meeting will be discussed:</p> <ol style="list-style-type: none"> 1. The vision for Development of Grassroots Sport Accessibility and Development Strategy 2. Identifying the list of core problems and challenges for

	<p>May 2018</p>	<p>sport for all and physical education fields.</p> <p>3. Key solutions for core-problems.</p> <p>The field works are planned to discuss the law of Georgia on Physical Education and Sport and to review projects in the framework of Grassroots Sport Development Strategy. (Committee of Sport and Youth Affairs of Georgia of the Parliament of Georgia, the Ministry of Culture and Sport, the Ministry of Education and Science)</p>
<p>Elaboration of Grassroots Sport Accessibility and Development Strategy draft document</p>	<p>July- August 2018</p>	<p>The problems, views and recommendations shared at the regional level with target and thematic groups will be reflected in the draft document of Grassroots Sport Accessibility and Development Strategy.</p>
<p>Sharing the international experience</p> <p>Using European Technical Assistance Instrument “Taiex” (Study Visit and Workshop)</p>	<p>September 2018</p>	<p>With assistance of EU Technical Assistance and Information Exchange Instrument “Taiex”, representatives of the Ministry of Culture and Sport will take part in two day workshop which will be held with international experts. Three day study visit to Austria will take place sharing experience in the field of developing grassroots sport.</p>

<p>Elaboration of the final version of Grassroots Sport Accessibility and Development Strategy document</p>	<p>September 2018</p>	<p>The final draft version of the Grassroots Sport Accessibility and Development Strategy document will be based on the results of workshops and international experience.</p>
<p>Elaboration of Action Plan for Grassroots Sport Accessibility and Development Strategy implementation by interministry experts' groups</p>	<p>September-October 2018</p>	<p>The Action Plan of Grassroots Sport Accessibility and Development Strategy describes the specific measures to be taken by different state agencies according with the strategy. The Ministry of Culture and Sport of Georgia coordinates implementation and coordination of the Action Plan.</p>
<p>Public consultations</p>	<p>October 2018</p>	<p>On the web-sites of the Ministry of Culture and Sport of Georgia, the Parliament of Georgia and on other online pages will be published Grassroots Sport Accessibility and Development Strategy document and its implementation short-term Action Plan draft document, so every stakeholder can propose their idea. If necessary, additional thematic roundtables will be organised.</p>
<p>Consultations between the Ministry of Culture and Sport of Georgia and other government agencies</p>	<p>October-November 2018</p>	<p>After the final version of the strategy document and action plan, the Ministry of Culture and Sport of Georgia will hold meetings with various government agencies.</p>

Approval of the Grassroots Sport Accessibility and Development Strategy and Action Plan	November-December 2018	The Grassroots Sport Accessibility and Development Strategy and the Action Plan will be presented to the Government of Georgia for its adoption.
---	------------------------	--

In order to guarantee transparency and to ensure inclusion of key stakeholders, the strategy elaboration process will have a dedicated communication strategy: will be developed web-page www.cultureandsports.gov.ge and updated information about working documents and key partners will be regularly uploaded and disseminated via social networks.

3.Division of roles and functions

The Ministry of Culture and Sport of Georgia

A) Strategic Planning and Monitoring Service

- Leading the Grassroots Sport Accessibility and Development Strategy elaboration process;
- Coordinating activities of the working groups;
- Communicating stakeholders and ensuring their involvement in the strategy elaboration process;
- Preparing reports about processes and results;
- Ensuring publicity and transparency of the process.

B) Sports Department of the Ministry of Culture and Sport

- Designing methodological documents in the process of elaboration of the Grassroots Sport Accessibility and Development Strategy;

- Collecting and analysing the data received from different sectors and thematic groups;
- Elaborating the Grassroots Sport Accessibility and Development Strategy and Action Plan.

C) Office of the Ministry of Culture and Sport

- Promoting PR campaigns, transparency and publicity of the strategy.
- Ensuring implementation of the procedures provided by the protocol.

D) Sport and Youth Issues Committee of Parliament of Georgia

- Participating in elaboration of the document;
- Participating and providing support for the Grassroots Sport Accessibility and Development Strategy;
- Coordinating workshops at regional level;
- Promoting publicity and transparency of the process.

E) Inter-agency coordination council

- Participating in elaboration process of the Grassroots Sport Accessibility and Development Strategy;
- Monitoring the working process on the document and collecting relevant reports;
- Taking the decision on introducing document to the Government of Georgia.

F) Thematic working groups created within Inter-agency coordination council

- Working on refining and elaboration of document thematically, within the scope of competence;
- Collecting policy/research results and other relevant data (analysis, statistics, and ect.) and sharing it with the Ministry of Culture and Sport.

- Providing assistance to the Sport Research and Analysis department on collecting and processing information.
- Developing recommendations regarding the strategy and sharing it to the Ministry of Culture and Sport of Georgia;
- Participating in public discussions.

G) The basis of international cooperation

Grassroots Sport

Grassroots sport is promoted by the European Commission, EU's one of the most powerful institutions, which pays attention to the high level involvement of population in physical activities providing various benefits, including:

- Health;
- Social involvement;
- Crime prevention;
- Non-formal education and competence development;
- Development of volunteerism;
- Economic impact.

In addition, the EU considers sport as a tool for European integration and its meaning is declared in documents such as Nice and Lisbon Declarations, Amsterdam Agreement and the Consolidated Agreement of EU Function.

H) International consultations

- In order to receive international recommendations on the Grassroots Sport Accessibility and Development Strategy document, the document will be translated into English and will be sent to the Council of Europe.
- Sharing the experience of EU member states with the help of the EU technical assistance tool "Taix".

4. Structure of the strategy

4.1 Goals and objectives of the Document

- Raising awareness on the importance of grassroots sport and increasing its availability;
- Increase the number of population involved in regular grassroots and sport activities;
- Promotion of grassroots sport and physical activity;
- Promotion and implementation of healthy lifestyle;
- Development of informal sports education;
- Development of grassroots sports infrastructure;
- Implementation of common grassroots sport policy at central and local levels.

4.2. Basic structure

The basic structure of the Grassroots Sport Accessibility and Development Strategy includes the following points:

- Sports State Policy Frame;
- Current challenges;
- The main goals and objectives of the strategy;
- Involved parties and stakeholders;
- Pre-school sport;
- School sport;
- University Sport;
- Sport for all.

Strategic part of the document

- Long-term perspective on the availability and development of grassroots sport in Georgia;
- situational analysis: major problems (causes, outcomes), strengths and weaknesses (Promoting circumstances for development);
- Goals and objectives.

Document action plan

- Short and medium-term priorities;
- Key activities, indicators, responsible institutions, terms of implementation and budget

4.3. Key Areas

- Infrastructure;
- Financing;
- Raising awareness.

Apart from the general issues, the Grassroots Sport Accessibility and Development Strategy will address the followings:

- Gender equality
- Participation and Accessibility for:
 - Children and young people;
 - The elderly;
 - Persons with disabilities;
 - Diaspora, internally displaced persons, people residing on occupied territories and across the dividing lines of occupied territories
 - Communities in mountainous regions
 - National minorities.